დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 30 აპრილის
№ 108 ბრძანებით

სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ლითონის დამუშავება

პროგრამის ხელმძღვანელი: **გივი სვანიძე**

საკონტაქტო ინფორმაცია: T: 0322 20 54 24
e-mail: info.rtc2016@gmail.com

თბილისი

2026 წ

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულ და ინგლისურ ენებზე) -** ლითონის დამუშავება; Metal Trades

2. **პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა:** 07.12.1

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე -** საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლითონის დამუშავებაში; Secondary Vocational Qualification in Metal Trades

4. **მიზანი**

პროფესიული პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება

5. **კვალიფიკაციის დონე**

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) – 4

6. **კლასიფიკაციის აღწერა**

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს 0715 - მექანიკა და ლითონის საქმე - „შეისწავლის მანქანების, მექანიკური საწარმოებისა და სისტემების, ასევე ლითონის პროდუქციის დაგეგმვას, პროექტირებას, განვითარებას, წარმოებას, ფუნქციონირებასა და მონიტორინგს. ის მოიცავს პროდუქციის წარმოებისა და მომსახურებისთვის განკუთვნილი მანქანა - დანადგარების პროექტირებასა და ფუნქციონირებას. ეს დეტალური სფერო ფოკუსირებულია მანქანებზე/მოწყობილობებზე, მექანიკურ სისტემებსა და ლითონის პროდუქციაზე“

ISCO კოდი: 7223 ლითონის მეჩარხეები და ამწყობ-ოპერატორები; 7222 ზეინკლები და მონათესავე სფეროს მუშები

ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი:

- 25.40.0 იარაღის და საბრძოლო მასალების წარმოება

- 25.62.0 მანქანათმშენებლობის ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები
- 25.72.0 საკეტების, ანჯამების და სახსრების წარმოება
- 25.94.0 სამაგრების და ხრახნსაჭრელი ჩარხების ნაკეთობების წარმოება

7. დასაქმების შესაძლებლობები

ლითონდამმუშავებელი შეიძლება დასაქმდეს მეტალურგიული კომბინატში, საავიაციო ქარხანაში, არასტანდარტული მოწყობილობების ქარხანშია, ვაგონშემკეთებელი ქარხანაში, ელმავალ მშენებელი ქარხანაში და მსგავსი ტიპის სხვა დაწესებულებებში

8. დაშვების წინაპირობა

- სრული ზოგადი განათლება
- საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

9. სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:
9.1 წაიკითხოს საოპერაციო-ტექნიკური დოკუმენტაცია;
9.2 მოამზადოს ყველა ლითონდამმუშავებელი ჩარხი სამუშაოს შესასრულებლად
9.3 აკონტროლოს ჩარხის გამართულობა როგორც სამუშაოს დაწყებამდე ისე სამუშაოს შესრულებისას;
9.4 დაამზადოს დეტალ(ებ)ი სახარატო, საფრეზ და სახეხი ჯგუფში შემავალი ყველა ტიპის ჩარხზე;
9.5 დაამზადოს დეტალ(ებ)ი პროგრამული მართვის ჩარხზე;
9.6 აკონტროლოს დამზადებული დეტალ(ებ)ის ხარისხი კონტროლი
9.7 დაგეგმოს დეტალის დამზადების ტექნოლოგიური პროცესი
9.8 შეასრულოს შრომის, უსაფრთხობის, გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის პირობები

10. სწავლის შედეგების დეტალური აღწერა

მოდული	პროფესიული უნარები	პროფესიული ცოდნა	*საკვანძო კომპეტენციები*							
			მშობლიურ ენაზე	*უცხო ენაზე*	*მათემატიკური უნარ-ჩვევები და საბაზისო*	*ციფრული*	*დამოუკიდებლად*	*პიროვნებათშორისი*	*მეწარმეობა*	*კულტურული*
1. დეტალების დამზადების ტექნოლოგიური პროცესები	• გეგმავს დეტალის დამზადების ტექნოლოგიური პროცესს; • ამზადებს სამუშაო ადგილს; • ამზადებს საკუთარ თავს; • აკეთებს შესრულებული სამუშაოს ანალიზს	• იცის დეტალის დამზადების ტექნოლოგიური პროცესის დაგეგმვა; • იცის სამუშაო ადგილის მომზადება; • იცის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების წესები; • იცის შესრულებული სამუშაოს გაანალიზება	X							
2. ჭრის თეორია და მჭრელი იარაღები	• ამოწმებს მჭრელი იარაღების ვარგისიანობას; • იყენებს მჭრელ იარაღებსა და სამარჯვებს	• იცის მჭრელი იარაღების ალესვის მეთოდები და უსაფრთხოების წესები; • იცის სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მჭრელი იარაღების და სამარჯვების კლასიფიკაცია და დანიშნულება	X							
3. დეტალის დამუშავება სახარატო, საფრეზი, სახეხი ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხზე	• ამოწმებს დასამუშავებელ ნამზადებს; • გეგმავს სამუშაოს თანმიმდევრობას;	• იცის ნამზადის შემოწმების წესები და კრიტერიუმები; • იცის დეტალის დამზადების ტექნოლოგიური ოპერაციების თანმიმდევრობა;	X							

	• არჩევს დასამუშავებელი ნამზადებისთვის სხვადასხვა ტიპის იარაღებს; • იყენებს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს; • აყენებს ნამზადს სახარატო, საფრეზ,სახეხ, სარენდ, საბურღ ჩარხზე; • რთავს სახარატო,საფრეზ, სახეხ, სარენდ, საბურღ ჩარხს • აკონტროლებს დეტალის დამზადების ხარისხს ყველა ოპერაციის შესრულების შემდგომ მის სრულ დამზადებამდე; • იყენებს სამაჯვ საშუალებებს; • იწყებს და ასრულებს დეტალის დამზადებას მოცემული ნახაზის მიხედვით; • ასაწყობებს ნამზადს მისთვის განკუთვნილ ადგილზე;	• იცის სახარატო ოპერაციებისთვის საჭირო იარაღების მჭრელი ნაწილის გეომეტრია და მათი გამოყენების პრინციპები; • იცის სხვადასხვა ტიპის ჩარხზე მუშაობისას ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შერჩევა სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებისათვის; • იცის სახარატო, საფრეზი, სახეხი, სარენდ, საბურღ ჩარხის მუშაობის პრინციპები; • იცის სახარატო, საფრეზი, სახეხი ჩარხებზე ნამზადის დაყენების და დამაგრების წესები; • იცის სახარატო,საფრეზი, სახეხი,სარენდ, საბურღ ჩარხის ჩართვის ყველა პროცედურა; • იცის დეტალის საზომი ხელსაწყოების მოხმარების წესები; • იცის სამაჯვი საშუალებების მოხმარების წესი • იცის სახარატო, საფრეზი, სახეხი,სარენდ, საბურღ ჩარხის ექსპლუატაციის წესები, მუშაობის პრინციპები და უსაფრთხოების წესები; • იცის დეტალის დამზადების ტექნოლოგიური პროცესის არსი • იცის ჭრის და უქმი სვლის ზონა და დასაცავი უსაფრთხოების წესები; • იცის სხვადასხვა ტიპის და კონსტრუქციის სახარატო, საფრეზ, სახეხ,სარენდ, საბურღ								

		ჩარხებზე განსხვავებული კონფიგურაციის დეტალების დამზადების მეთოდები; • იცის უნივერსალური სამარჯვების, მჭრელი იარაღების გამოყენებისას უსაფრთხოების წესები; • იცის დეტალების ბაზირების პრინციპები								
4. პროგრამული მართვის ჩარხზე დეტალების დამზადება	• ამოწმებს დასამუშავებელ ნამზადებს; • გეგმავს სამუშაოს თანმიმდევრობას; • არჩევს დასამუშავებელი ნამზადებისთვის სხვადასხვა ტიპის იარაღებს; • იყენებს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს; • აყენებს ნამზადს პროგრამული მართვის ჩარხზე • რთავს პროგრამული მართვის ჩარხს • იყენებს სამაჯვ საშუალებებს; • იწყებს და ასრულებს დეტალის დამზადებას მოცემული ნახაზის მიხედვით შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით; • აკონტროლებს დეტალის დამზადების ხარისხს ყველა ოპერაციის შესრულების შემდგომ მის სრულ დამთავრებამდე; • ასაწყობებს ნამზადს მისთვის განკუთვნილ ადგილზე	• იცის ნამზადის შემოწმების კრიტერიუმები; • იცის დეტალის დამზადების ტექნოლოგიური ოპერაციების თანმიმდევრობა; • იცის პროგრამული მართვის ჩარხის ოპერაციებისთვის საჭირო იარაღების გეომეტრია და მათი გამოყენების პრინციპები; • იცის სხვადასხვა ტიპის ჩარხზე მუშაობისას ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შერჩევა სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებისათვის; • იცის პროგრამული მართვის ჩარხის მუშაობის პრინციპები; • იცის პროგრამული მართვის ჩარხებზე ნამზადის დაყენების და დამაგრების წესები; • იცის პროგრამული მართვის ჩარხის ჩართვის ყველა პროცედურა; • იცის სამაჯვი საშუალებების მოხმარების წესი; • იცის პროგრამული მართვის ჩარხის ექსპლუატაციის წესები, მუშაობის პრინციპები და უსაფრთხოების წესები;				X				

		• იცის დეტალის დამზადების ტექნოლოგიური პროცესის არსი; • იცის ჭრის და უქმი სვლის ზონა და დასაცავი უსაფრთხოების წესები; • იცის სხვადასხვა ტიპის და კონსტრუქციის პროგრამული მართვის ჩარხებზე განსხვავებული კონფიგურაციის დეტალების დამზადების მეთოდები; • იცის უნივერსალური სამარჯვების, გამოყენებისას უსაფრთხოების წესები; • იცის ავარიული გამომრთველის გამოყენება; • იცის დეტალის საზომი ხელსაწყოების მოხმარების წესები; • იცის დეტალების ბაზირების პრინციპები								
5. დამზადებული დეტალის ხარისხის კონტროლი	• გეგმავს სამუშაოს თანმიმდევრობას; • ახორციელებს დეტალის შედარებას ნახაზთან; • იყენებს საკონტროლო, მზომ იარაღებსა და ხელსაწყოებს; • აკონტროლებს დამზადებული დეტალის ხარისხს	• იცის დეტალის ხარისხის შემოწმების თანმიმდევრობა; • იცის დამზადებული დეტალის ზედაპირის სიმქისის კონტროლის მეთოდები; • იცის დამზადებული დეტალის ზომის კონტროლის მეთოდები; • იცის დამზადებული დეტალის ხარისხის შეფასებს მეთოდები; • იცის საკონტროლო, მზომი იარაღებისა და ხელსაწყოების სახეობები; • იცის საკონტროლო, მზომი იარაღების გამოყენების მეთოდები; • იცის მზომი იარაღების, ხელსაწყოების დანიშნულება და უსაფრთხოების წესები;	X							

		• იცის საკონტროლო, მზომი იარაღების გამართვის მეთოდები;								
6. ფურცლოვანი ლითონის, ლითონის დეტალების საზეინკლო დამუშავება	• ჩეხავს ფურცლოვან ლითონს; • ჭრის ფურცლოვან ლითონს; • ამუშავებს ლითონის დეტალებს; • ამოქლონებს ლითონის დეტალებს	• იცის ფურცლოვანი ლითონის ჩეხვა; • იცის ფურცლოვანი ლითონის ჭრა; • იცის ლითონის დეტალების დამუშავება; • იცის იცის ლითონის დეტალების დამოქლონება	X							
7. საკონტროლო, მზომი იარაღების, სამარჯვის, ტვიფრის, წნეხფორმის (დასაშლელი ფორმის) და სამსხმელო ფორმის (კოკილის) დამზადება, გამოცდა და შეკეთება	• ამზადებს საკონტროლო, მზომ იარაღებს; • შეაკეთებს საკონტროლო, მზომ იარაღებს საჭიროებისამებრ; • ამზადებს სამარჯვ იარაღებს; • შეაკეთებს სამარჯვ იარაღებს საჭიროებისამებრ; • ამზადებს ტვიფრებს; • შეაკეთებს ტვიფრებს საჭიროებისამებრ; • აწყობს და გამოცდის მიმდევრობით ტვიფრებს; • ამზადებს წნეხფორმას; • შეაკეთებს წნეხოფორმას საჭიროებისამებრ; • ამზადებს სამსხმელო ფორმას; • შეაკეთებს სამსხმელო ფორმას საჭიროებისამებრ	• იცის საკონტროლო, მზომი იარაღების დამზადება; • იცის საკონტროლო, მზომი იარაღების შეკეთება; • იცის სამარჯვი იარაღების დამზადება; • იცის სამარჯვი იარაღების შეკეთება; • იცის ტვიფრების დამზადება; • იცის ტვიფრების შეკეთება; • იცის მიმდევრობით ტვიფრების აწყობა და გამოცდა; • იცის წნეხფორმის დამზადება; • იცის წნეხფორმის შეკეთება; • იცის სამსხმელო ფორმის დაზადება; • იცის სამსხმელო ფორმის შეკეთება	X							
8. შრომის უსაფრთხო პირობებისა და ჯანმრთელობის დაცვა	• აღწერს სამუშაო გარემოში შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელობას; • აღწერს საქართველოში მოქმედ შრომის უსაფრთხოების რეგულაციებს სამშენებლო დარგის გათვალისწინებით;	• იცის სამუშაო გარემოში შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელობა; • იცნობს საქართველოში მოქმედ შრომის უსაფრთხოების რეგულაციებს; • იცის კომპეტენციის ფარგლებში საფრთხეების	X							

	• ახდენს კომპეტენციის ფარგლებში საფრთხეების იდენტიფიცირებას, რისკების განსაზღვრასა და პრევენციული ღონისძიებების გატარებას; • განსაზღვრავს სამუშაო გარემოში ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ საფრთხეებს; • განმარტავს უბედური შემთხვევის მოკვლევის წესებს; • განმარტავს ელექტრო უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების წესებს; • აღწერს სამუშაო გარემოში გამოყენებულ უსაფრთხოების ნიშნებს და მათ დანიშნულებას; • იცავს ეთიკის ნორმებს; • იცავს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს; • იყენებს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს	იდენტიფიცირების, რისკების განსაზღვრისა და პრევენციული ღონისძიებების შემუშავება-გატარების წესები; • იცნობს სამუშაო გარემოში არსებულ ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ საფრთხეებს; • იცნობს უბედური შემთხვევის მოკვლევის წესებს; • იცის ელექტრო უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების წესები; • იცის უსაფრთხოების ნიშნების მნიშვნელობა და დანიშნულება; • იცნობს ეთიკის ნორმებს; • იცნობს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს; • იცის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორად გამოყენების წესები								

სასწავლო გარემოში სწავლისთვის	კრედიტი	სამუშაო გარემოში სწავლისთვის	დისტანციური სწავლების შესაძლებლობები
ზოგადი მოდულები			
მეწარმეობა	4		
სამოქალაქო განათლება	2		დისტანციური
უცხოური ენა	3		დისტანციური
პროფესიული მოდულები			
გაცნობითი პრაქტიკა ლითონის დამუშავება	1		დისტანციური
საკონსტრუქტორო ხაზვა	3		

მასალათმცოდნეობის საფუძვლები	1		
ზოგადი ელექტროტექნიკა	2		
მეტროლოგიის საფუძვლები	1		
ჰიდრო- და პნევმო ამძრავების საფუძვლები	1		
დეტალების დამზადების ტექნოლოგიური პროცესები	4	**X**	
ჭრის თეორია და მჭრელი იარაღები	9		დისტანციური
დეტალის დამუშავება სახარატო, საფრეზი, სახეხი ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხზე	19	**X**	
პროგრამული მართვის ჩარხზე დეტალების დამზადება	4	**X**	
დამზადებული დეტალის ხარისხის კონტროლი	1	**X**	
ფურცლოვანი ლითონის, ლითონის დეტალების საზეინკლო დამუშავება	12	**X**	
საკონტროლო, მზომი იარაღების, სამარჯვის, ტვიფრის, წნეხფორმის (დასაშლელი ფორმის) და სამსხმელო ფორმის (კოკილის) დამზადება, გამოცდა და შეკეთება	13	**X**	
შრომის უსაფრთხო პირობებისა და ჯანმრთელობის დაცვა	10		დისტანციური
სულ კრედიტები:	**90**		

11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ჯამური 14 პროფესიულ მოდულს ჯამური 81 კრედიტის მოცულობით და 3 ზოგად მოდულს ჯამური 9 კრედიტის მოცულობით. ლითონის დამუშავების სამუშაოს შესრულებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 90 კრედიტის დაგროვება.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების 24 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 90 კრედიტი
პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 19 თვე [1]
პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 120 კრედიტი
პროგრამის ხანგრძლივობა არაქარუთლენოვანი სტუდენტებისთვის - 24 თვე

№	მოდულის დასახელება	
01	ქართული ენა A2	15
02	ქართული ენა B1	15
ჯამში		**30**

[1] პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება სასწავლო კვირების მიხედვით. თითოეული სასწავლო ჯგუფის სწავლის დაწყების და დასრულების თარიღი დგინდება კალენდარული გრაფიკის მიხედვით, 2 კვირა საშობაო, 1 კვირა სააღდგომო და არსებული კანონმდებლობით განსაზღვრული უქმეების გათვალისწინებით.

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	მეწარმეობა	4
2	სამოქალაქო განათლება	2
3	უცხოური ენა	3
სულ:		9
პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
4	გაცნობითი პრაქტიკა ლითონის დამუშავება	1
5	საკონსტრუქტორო ხაზვა	3
6	მასალათმცოდნეობის საფუძვლები	1
7	ზოგადი ელექტროტექნიკა	2
8	მეტროლოგიის საფუძვლები	1
9	ჰიდრო- და პნევმო ამძრავების საფუძვლები	1
10	დეტალების დამზადების ტექნოლოგიური პროცესები	4
11	ჭრის თეორია და მჭრელი იარაღები	9
12	დეტალის დამუშავება სახარატო, საფრეზი, სახეხი ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხზე	19
13	პროგრამული მართვის ჩარხზე დეტალების დამზადება	4
14	დამზადებული დეტალის ხარისხის კონტროლი	1
15	ფურცლოვანი ლითონის, ლითონის დეტალების საზეინკლო დამუშავება	12
16	საკონტროლო, მზომი იარაღების, სამარჯვის, ტვიფრის, წნეხფორმის (დასაშლელი ფორმის) და სამსხმელო ფორმის (კოკილის) დამზადება, გამოცდა და შეკეთება	13
17	შრომის უსაფრთხო პირობებისა და ჯანმრთელობის დაცვა	10
სულ:		81
სულ კრედიტები:		90

12. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. წაიკითხოს საოპერაციო-ტექნიკური დოკუმენტაცია;
2. მოამზადოს ყველა ლითონდამმუშავებელი ჩარხი სამუშაოს შესასრულებლად;
3. აკონტროლოს ჩარხის გამართულობა როგორც სამუშაოს დაწყებამდე ისე სამუშაოს შესრულება;
4. დაამზადოს დეტალ(ებ)ი სახარატო, საფრეზ და სახეხი ჯგუფში შემავალი ყველა ტიპის ჩარხზე;
5. დაამზადოს დეტალ(ებ)ი პროგრამული მართვის ჩარხზე;
6. საკონტროლოს დამზადებული დეტალ(ებ)ის ხარისხი კონტროლი;
7. დაგეგმოს დეტალის დამზადების ტექნოლოგიური პროცესი;
8. შეასრულოს შრომის, უსაფრთხობის, გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის პირობები

13. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.
საგანმანათლებლო პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი

კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

14. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

15. პეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-14 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

16. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ლითონის დამუშავება (სარეგისტრაციო ნომერი - 07.12.1) საფუძველზე.

17. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი:

პროგრამა განხორციელდება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ბაზაზე.

პროგრამას თან ერთვის დანართები:

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი);
- ✓ ადაპტირებული მოდულები;
- ✓ სასწავლო გეგმები (ქართული ენის მოდულებით და მის გარეშე);
- ✓ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი;
- ✓ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი;
- ✓ პროგრამის ბიუჯეტი.

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები **გივი სვანიძე**

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი **შოთა მარგიშვილი**

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორი **მანანა მოისწრაფიშვილი**